№ 179 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. ოთხშაბათი 13 აგვისტო 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განცხადებანი)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. საიალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82:

ქ. ახალ-სენაკში მომავალი სამოსწავლო წლიდან 1-ლ ენკენისთვიდან

იხსნება უფლებიანი საოსტატო სემინარია,

სადაც მიიღებიან ოჯგზამენად: 1) 1 კლასში უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლებში და ყოფილი მეორე კლასიანი სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი ორივე სქესის, და ყველა გამოცდების ჩაბარების შემდეგ ხსენებული სასწავლებლების პროგრამის ფარგლებში; 2) მეორე კლასში სახალხო სკოლის მასწავლებელნი, რომლებიც მასწავლებლობენ არა ნაკლები 5 წლის ორივე სქესის. ამავე სემინარიაში საჭიროა ორი მასწავლებელი უმაღლეს განათლებით აღჭურვილი პირნი: ქართული ენის და მათემატიკის. მსურველთ შეუძლიათ გამოგზავნონ თხოვნები შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, გიმნაზიის დირექტორს. 1426 2—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზის საშმართველო

ამით აცხადებს, რომ 14 აგვისტოს ამა წლისა, დილის 10 საათზედ, ცენტრალ საწყობში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოუკითხავი ერთი ქვაბი ნავთისა გაგზავნილი სატვირთო ბარათით ბაქო-ფოთი № 28997 1425 1—1

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოსათვის ნახევარი მილიონი მანეთის სესხად მიცემისა.

1. მიეცეს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს სესხად ნახევარი მილიონი მანეთი საფუთო გადასახადის 6%-ს გარანტიით.

2. დაევალოს გზათა მინისტრს, რათა საფუთო გადასახადი შეტანილ იქნეს ხაზინაში, სანამ მთელი სესხი არ იქნება ანაზღაურებული 6 %-ით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 28-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

შავი-ქვის საფუთო გადასახადის გადიდებისა.

1. გადასახადი შორაპნის მაზრის მაღაროებში ამოღებული შავი-ქვისა (მარგანეცი), რომელიც გატანილ იქნება, როგორც ჭიათურის რკინის გზის შტოთი, აგრეთვე მაგისტრალით დაწესდეს ფუთზე რვა (8) კაპეიკამდე, რა სადგურიდანაც უნდა იყოს გატანილი ეს მადნეული.

2. მიეცეს უფლება ფინანსთა მინისტრს საჭიროებისა მიხედვით შეამციროს პირველ მუხლში აღნიშნული ნორმა საფუთო გადასახადისა.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 28-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

857.996 მან. დამატებით გადადებისა 1919 წ. სოხუმ-ახალსენაკისა და გუდაუთ-პლენკოვის გზატკეცილთა ხიდების ასაგებად და შესაკეთებლად.

1. გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებაში დამატებით რვაას ორმოცდა-ჩვიდმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა თექვსმეტი (857.996) მან. 1919 წელში სოხუმის ახალ-სენაკისა და გუდაუთ-პლენკოვის გზატკეცილთა ხიდების ასაგებად და შესაკეთებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 28-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 100.000 მანეთის კრედიტის გადადებისა სოხუმის ოლქში გადამდებ სნეულებასთან საბრძოლველად.

1. სოხუმის ოლქში გადამდებ სნეულებასთან საბრძოლველად სახელმწიფო ხაზინიდან გადაიდოს ასი ათასი (100.000) მანეთი.

2. ზემორე (1) მუხლში აღნიშნული თანხა გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯეროვან განკარგულებისათვის.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 28 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ რესპუბლიკის რკინის გზის სამგზავრო ბილეთების დაბეჭვისა.

1. დაბეჭულ იქნეს საქართველოს რკინის გზის სამგზავრო ბილეთები წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ შემდეგი ნორმით.

ა) მესამე კლასის ბილეთი 25 კაპ.

ბ) მეორე კლასის ერთი მანეთი.

გ) პირველი კლასისა მანეთ ნახევარი.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 28-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

150.000 მანეთის გადადებისა ინგლისის მისიისათვის მისაცემად ნატანებ-ბათუმის რკინის გზის უბნის საექსპლოატაციოდ გადმოცემისათვის.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებაში ას ორმოცდა ათი ათასი (150.000) მანეთი ინგლისის მისიის სახარგებლოდ ნატანებ-ბათუმის რკინის გზის უბნის საექსპლოატაციოდ გადმოცემისათვის მიმდინარე წლის აპრილის 15-დან. ივნისის 1-დე.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 28 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

დასახლების საქმის მოსაწყობად 5.000.000 მან. გადადებისა.

1. გადაიდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში ხუთი მილიონი (5.000.000) მანეთი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასახლების საქმის მოსაწყობად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 28-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 87.650 მანეთის კრედიტის გახსნისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" საჭიროებისათვის.

1. გადაიდოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" საჭიროებისათვის ოთხმოცდაშვიდი ათასი ექვსას ორმოცდაათი (87.650) მანეთი სახელმწიფო ხაზინიდან.

2. ზემორე (1) მუხლში აღნიშნული თანხა გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში კუთვნილებისამებრ დასახარჯავად.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

ქუთაისის და ტფილისის საადგილ-მამულო (ყოფილი სათავადაზნაურო) ბანკების წესდების შეცვლისა.

1. ქუთაისის საადგილ-მამულო (ყოფილი სათავად აზნაურო) ბანკის წესდების § 17 მეორე შენიშვნა, §§ 30, 31 და 34 შეიცვალოს ამ გვარად:

§ 17. შენიშვნა 2 საჯაროსა და საყოველთაო განცხადების დასაბეჭდად გაწეული ხარჯის დასაფარავად ბანკი ახდევინებს მსესხებელს, რომელმაც ვადაზე არ შემოიტანა ხვედრი სავადო გადასახადი, არა უმეტეს ოცდა ათი მანეთისა ყოველ მამულზე, რომელიც კი საჯაროდ გასასყიდად გამოცხადებული იქნება.

ყოველ ნახევარ წელიწადში მსესხებელს შემოაქვს სესხის კვალობაზე გაწერილი ხვედრი სარგებელი და აგრეთვე ის ფულიც, რომელიც საჭიროა რომ მთელი ვალი ვადაზე იქნეს გადაწყვეტილი, მაგრამ იგი ამასთანავე ვალდებულია ყოველ ნახევარსავე წელიწადში შემოიტანოს ის გადასახადი, რომლის რაოდენობა განსაზღვრულია რწმუნებულთა საზოგადო კრების მიერ, მაგრამ რომელიც იქნება არა უმეტეს 1, ½ %. ეს უკანასკნელი გადასახადათ მოხმარდება: ა) სათადარიგო თანხას (§ 103); ბ) ბანკის ხარჯებს; გ) ქუთაისის გუბერნიის მიწათ-მფლობელთა საჭიროების დასაკმაყოფილებელ თანხას (§ 101); ეს გადასახადი ასე იქნება განაწილებული: ა) იმ სესხს, რომელიც გაცემულია ან გაიცემა სოფლის მამულებზე, ყოველ ნახევარ წელიწადს შემოაქვს არა უმეტეს ½ % ამ სესხის რაოდენობისა, ხოლო ეს გადასახადი ვადის სრულიად გადაწყვეტამდე - შემცირდება ყოველთვის, როცა კი სესხი დაიკლებს ყოველ ერთ მეათედს; ბ) იმ სესხს კი, რომელიც გაცემულია ან გაიცემა ქალაქის უძრავ ქონებაზე შემოაქვს ყოველ ნახევარ წელიწადში არა უმეტეს 1 ½ %, ხოლო ეს გადასახადი ვადის სრულიად გადაწყვეტამდე შემცირდება ყოველთვის, როცა კი სესხი დაიკლებს ყოველ ერთ მეათედს.

§ 31. დაფასებისათვის გაწეული ხარჯი რომ დაიფაროს და აგრეთვე ის ხარჯიც, რომელიც საჭიროა გირავნობის ფურცლების დასამზადებლად, მსესხებელი იხდის ერთდროულად 3% მთელი სესხის ვალის რაოდენობისას.

§ 34. მამულის გადაგირავება გრძელ ვადიანი სესხის განახლებით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გრძელ ვადიანი სესხის ერთი მეხუთედი იქნება გადაწყვეტილი, და იმ პირობით, რასაც მესხებელი დასთანხმდა პირველი სესხის აღების დროს. ამ გადაგირავების დროს მსესხებელი იხდის ბანკის სასარგებლოდ დამატებით გადასახადს არა უმეტეს 3% იმ გირავნობის ფურცლების რაოდენობისას, რომელიც მსესხებელს მიეცემა დამატებით სესხათ ამ გადაგირავების დროს.

11. ტფილისის საადგილ-მამულო (ყოფილი სათავადაზნაურო) ბანკის წესდების § 14 მეორე შენიშვნა §§ 27, 28 და 31 შეიცვალოს ამ გვარად:

§ 14. შენიშვნა მეორე: საჯარო განცხადების დასაბეჭდათ გაწეული ხარჯის დასაფარავად ბანკი ახდევინებს მსესხებლებს, რომელთაც ვადაზე არ შემოუტანიათ ხვედრი გადასახადი განსაზღვრულ ჯამს, რომელსაც ბანკის ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის შეერთებული კრება დააწესებს და რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ მანეთს თვითეულ საჯაროდ გასასყიდად გამოცხადებულ მამულზე.

§ 27. მეორე აბზაცში: „და გარდა ამისა კრების მიერ დაწესებული გადასახადი, მაგრამ არა უმეტეს ერთისა და ნახევრის პროცენტისა".

§ 28. ბოლოში: „დაფასების წარმოებისათვის და გირავნობის ფურცლების დამზადებისათვის გაწეულ ხარჯის დასაფარავად მსესხებელი იხდის რწმუნებულთა კრების მიერ განსაზღვრულს ერთდროულ გადასახადს, არა უმეტეს სამი პროცენტის სესხის რაოდენობისას.

§ 31 ამასთან ერთად ბანკის სასარგებლოდ მსესხებელი იხდის პრემიას არა უმეტეს სამი პროცენტისა მთელი იმ ჯამისას, რომელიც გადაგირავების დროს დამატებით ეძლევა მას გირავნობის ფურცლებით.

III. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. 28 ივლისს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

7 გვისტოს სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარის მაგიერი ბ-ნი ე. პ. გეგეჭკორი.

მინისტრები ბ. რამიშვილი, კანდელაკი, საბჭოსმწიფო კანტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი, დაესწრენ ბ-ბ. გედევანიშვილი, ის. რამიშვილი, ვ. ჯუღელი. მინისტრის ამხანაგები: ბ. ბ. ავალიანი, ცინცაძე, ჭიჭინაძე გედევანიშვილი, გელეიშვილი, საბახტარაშვილი, ერაძე.

დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე. სასურსათო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგი ბ. ცაბაძე, მთავარი მართველი ბ. ქარცივაძე; საქმეთა მმართველი ბ. ჯაფარიძე; მდივნობს დ. ლომთაძე.

მოხსენება განათლების მინისტრისა

დახმარება სატეხნიკო საზოგადოებას.

საქართველოს სატეხნიკო საზოგადოებას აღმოეჩინოს დახმარება 50000 მ. რაოდენობით. ეს თანხა გადაიდოს ათ მილ. ფონდიდან.

მოხსენება საგარეო საქმეთა მინისტრისა.

სომხეთის საკონსულო.

ეცნობოს სომხეთის დიპლომატიურ წარმომდგენელს, რომ მთავრობას არაფერი საწინააღმდეგო არ აქვს სოხუმში სომხეთის საკონსულოს დაარსებისა.

მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა.

საპროტეზო სახელოსნოს შესანახად

გადაიდოს სამხედრო ფონდიდან 246000 მან. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში საპროტეზო სახელოსნოს შესანახათ.

მოხსენება სახელმწიფო კანტროლიორისა.

80.000 მან. სესხათ სახ. კონტროლიორს.

მიეცის სახელმწიფო კანტროლიორს სესხის სახით 80000 მან. 10 მილ. ფონდიდან კონტროლიორის მოხელეთათვის სამგზავრო ხარჯების დასაფარავად. ეს თანხა კონტროლიორმა უნდა დაუბრუნოს აღნიშნულ ფონდს, როგორც კი სათანადო დამატებითი კრედიტები გაეხსნება კონტროლს დამფუძნებელი კრების მიერ.

მოხსენება მიწათ-მოქმედების მინისტრისა

ლენციფას ფოთლების მოსაკრებათ.

გადაიდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში 50000 მან. 10 მილ. ფონდიდან მოხსენებაში აღნიშნულ საჭიროებისათვის. ამ საქმისთვის 1918 წ. გახსნილი კრედიტი დაიხუროს.

სესხის მიცემა ი. კაკაბაძეს.

მიეცეს იოსებ კაკაბაძეს სესხათ 100000 მან. სამი წლის ვადით 5% სარგებლით. ფულის გაცემა მოხდეს ნაწილ ნაწილათ 2 თვის განმავლობაში. აღნიშნულ თანხის კრედიტი გაეხსნას მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომელსაც დაეკალოს მიცემულ სესხის გარანტიათ დაიგირავოს ი. კაკაბაძისაგან მანქანები.

მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა

სასურსათო დახმარება.

დაეკალოს მომარაგების მთავარ სამმართველოს რათა კახეთის რკინის გზის მუშა მოსამსახურეებს ეძლეოდეთ ყოველ თვიურათ არა ნაკლებ 1500 ფ. ფქვილისა.

მოხსენება სამხედრო მინისტრისა.

ჯარში კულტ. განმან. საქმის მოსაწყობათ.

გადაიდოს სამხედრო მინისტის განკარგულებაში 1570000 მანეთი, სამხედრო ფონდიდან მოხსენებაში აღნიშნულ საჭიროებისათვის.

შინაგან საქმ. სამინისტროში

პოლიტიკ ბაგრატ დავიდოვის მოკვლა.

ახალციხის რაიონის კომისარი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ახალციხის ქალაქის ბაღში ქართულ მაჰმადიანთა დივიზიონის კორნეტმა დ. ჯორჯაძემ რევოლვერი ესროლა და მოკლა მეოთხე ქვეითა პოლკის პოლიტიკი კ. ბაგრატიონ დავიდოვი. მკვლელი შეიპყრეს.

მეამბოხის შეპყრობა.

შულავრის მაზრის კომისარი ბ. ლანდია დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს რომ 9 აგვისტოს შულავერში შეუპყრიათ სომეხ ქართველთა ომის დროს შულავრის აჯანყების მომწყობი მეთაური არშაკ ერიბეგოვი, თანაშემწე დიქტატორ არამ მეგრაბოვისა, რომელიც ამ ჟამათ დაპატიმრებულია. ერიბეგოვი გადაეცა საგანგებო საგამომძიებლო კომისიას.

მილიციონერის დაჭრა.

შულავერის მაზრის კომისარი ბ-ნი ლანდია დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ 9 აგვისტოს სამსახურის აღსრულების დროს ს. სარაჩლოში დასჭრეს მილიციონერი მუსტაფა მამედ ოღლი, რომელმაც თავის მხრივ მოასწრო ერთი ბოროტ-მომქმედის დაჭრა. ყველა ბოროტ-მოქმედნი შეპყრობილ არიან და გადაეცნენ გამომძიებელს.

ყაჩაღთა შეპყრობა.

შულავრის მაზრის კომისარი ბ. ლანდია დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ 8 აგვისტოს ახალქალაქის მაზრის საზღვრებზე შეიპყრეს მთელა ბრბო, რომელიც 5 კაცისაგან შესდგება, მათ ბრალდებათ მანგლისის ფოსტის გაძარცვა. ფული და ნივთები მათ მიერ გატაცებული ზედ აღმოაჩნდათ, ყაჩაღები გადაეცა მანგლისის რაიონის კომისარს.

სამხედრო მინისტრ ბ-ნ ნოე რამიშვილის მიმართვა სამხედრო უწყებისადმი

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო რა მხედველობაში ის მდგომარეობა, რომელშიდაც ჩვენი რესპუბლიკა იმყოფება განსაკუთრებული ყურადღება რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაციას მიაქცია, შესაფერი კანონები და შტატები უკვე დამტკიცებული და გამოცხადებულიც არიან. ამასთანავე მან გადასწყვიტა ჯარის ნაწილების ხელმძღვანელ და უფროსებათ სამხედრო საქმის ზედმიწევნით მცოდნე, გამოცდილ და სამშობლოსა და ერისათვის თავდადებული პირთა არჩევა.

მივესალმები ახალ დანიშნულ ჯარის უფროსებს, და განსაკუთრებით მიულოცავ მათ, რომ ისინი არიან არჩეული არა მარტო ჩემ მიერ და მათი უფროსებისაგან, როგორც წარჩინებული სამხედრო პირნი, არამედ, ისინი ხალხის წარმომადგენლების— დამფუძნებელ კრების წევრებისაგანაც ნდობით აღჭურვილნი არიან. საზოგადოებაში ხმები ტრიალებს, ვითომც დამფუძნებელ კრებას ნამდვილი რეგულიარი ჯარის შექმნა არ სურდეს. მე, როგორც მთავრობისა და დამფუძნებელ კრების წარმომადგენელი გადაჭრით ვაცხადებ, რომ ეს ხმები ყოველივე საფუძველს მოკლებულია. მთავრობა და დამფუძნებელი კრება კარგათ გრძნობენ და წარსულმა წლებმა ეს მათ აშკარადაც დაუმტკიცა, რომ უჯაროთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება და არსებობა, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც იყო, რომ დამფუძნებელმა კრებამ პირველ რიგში დასვა ჯარის რეორგანიზაციის საკითხი. მე ხელმეორეთ გადაჭრით ვაცხადებ, რომ მთავრობა და დამფუძნებელი კრება ყოველგვარ ზომებს მიიღებენ და არავითარ დაბრკოლების წინ არ შეჩერდებიან ჯარის საუკეთესოდ მოწყობის საქმეში.

ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება არ იყო შემთხვევითი მოვლენა: ის ეროვნულ საბჭოს მიერ ყოველ მხრივ აწონ-დაწონილი იყო და ყოველივე მისი შედეგებიც გათვალისწინებული იყო, ამიტ ჩვენ გვიკარნახებდა თანამედროვე პოლიტიკურ-კულტურულ და ეკონომიური მდგომარეობა და აგრეთვე ჩვენი ისტორიული წარსული. მე გადაჭრით ვაცხადებ და ეს ჩემი ღრმა რწმენაა, რომ ქართველი ერი თავის დამოუკიდებლობისათვის თავს დასდებს და ყველამ იცის ქვეყნის დაცვის საქმეში რა დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულიარულ ჯარს. ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ ჯარში მსახურნი პირნი, პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ. პირიქით, მე განსაკუთრებულ პატივს ვცემ მათ, ვინც ყოველივე პარტიობის გარეშე იმყოფება, და სპეციალობის მიხედვით თავიანთ აზრსაც დაუფარავათ გამოსთქვამენ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე.

ამ ბრძანებაში მე მინდა აღვნიშნო ის ძირითადი ჩემი მოთხოვნილებანი, რომლის აღსრულებასაც განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მომავალში:

1) ყოველი უფროსთაგანი ჩემსა და კანონის წინაშე პასუხის მგებელია იმ საქმეების წესიერათ აღსრულებაში, რომელიც მას აქვს მინდობილი; და ამიტომ მე მოვითხოვ: უმცროს უფროსობის წესითა და, აგრეთვე, იმ პირთა საშუალებით, რომლებიც ჩემ მიერ საინსპექციოთ წარმოგზავნილი იქნებიან—ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზების შესახებ გულახდილათ მომახსენდეს მე, რითაც უფროსებს მოვალეობის აღსრულება გაუადვილდება და ჩვენ შორისაც გულწრფელი დამოკიდებულება დამყარდება.

2) ყველასათვის ცხადია, რომ ჯარში განსაკუთრებული მნიშვნელობა აფიცრობას აქვს. ძველადანვე ნათქვამია: „როგორიც აფიცრებია—ჯარიც ისეთივეა“, ამ თქმულებამ ჩვენს დროში უფრო მეტი მნიშვნელობა მიიღო ვიდრე ძველათ ჰქონდა. ამას გარდა მე აქ ის თვისებები მინდა აღვნიშნო, რომელთაც ყოველი აფიცერი უნდა ატარებდეს:

ა) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის უსაზღვრო და გულწრფელი (თავგანწირვამდე) ერთგულება, რაიცა ოფიცერმა უნდა დაამტკიცოს, როგორც ბრძოლის ველზე, ისე, არა ნაკლებათ მშვიდობიან დროის სამსახურშიც; ასეთივე აზრი აფიცრებმა თავის ხელქვეითებშიც უნდა გაავრცელონ და განამტკიცონ.

ბ) უფროსების უმწიკვლო ზნეობრიობა აუცილებელი თვისებაა. (განსაკუთრებულ ყურადღებას უფროსების ზნეობრიობას მივაქცევ). ცხადია, არ შეიძლება ნდობის ღირსი ისეთი უფროსი იყვეს, რომელსაც თავათ არა აქვს მტკიცე ზნეობა. არა კეთილ სინდისიერ აფიცერთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით სამხედრო საკითხებში, უსასტიკესი ზომები იქნება მიღებული.

გ) აშკარაა, რომ სამხედრო საქმე, ტეხნიკის მხრით ფრიად ვითარდება. მსოფლიო ომმა ეს ჩვენ ნათლად დაგვიმტკიცა, და თანამედროვე მდგომარეობაც გვიკარნახებს, რომ მომავალშიც ყოველივე ეს უფრო და უფრო განვითარდება.

აი რისთვის მოვითხოვ, რომ ყოველ ნაწილში აფიცერთა გაწვრთნა-განვითარებას მეტი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული: ლექციებს, სამხედრო ხელოვნების საუბრებს, რუქებსა და ველ-მინდვრებში ტაქტიკურ მეცადინეობასა და სხ. ფართე ასპარეზი ჰქონდეს დათმობილი.

მოვითხოვ აგრეთვე—აფიცერთა საზოგადო განვითარებას მიექცეს ყურადღება, ვინაიდან საზოგადოთ აფიცერი, საუკეთესოთ განათლებული და განვითარებული მოქალაქეთ უნდა იყოს.

დ) დამფუძნებელმა კრებამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ აფიცერი სამშობლოსათვის მარად საჭიროა ჯამაგირის გადიდებით დიდი ყურადღება მიაქცია მის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას, თვით ოფიცერიც მოვალეა, რომ მუდამ მზად იყვეს და საქვეყნოთ დაამტკიცოს თავის სამშობლოს ერდგულება და თავგანწირულება.

ე) უფროსები ყველაფერში თავის ხელქვეითებისათვის მაგალითს უნდა წარმოადგენდენ უამისოთ, არას დროს არ შეიძლება მათში ნდობისა და პატივისცემის დამსახურება. ეს განსაკუთრებით ეხლაა საჭირო, როცა ჯარის კაცი და განსაკუთრებით ჩვენი ჯარის კაცი, არ შეიძლება უბრალო მანქანათ იყვეს.

ვ) შემდეგ, ვისაც სურს ხელქვეითების გავლენის მოპოვება, რასაც სამხედრო ცხოვრებაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, სასტიკი უნდა იყვეს, მაგრამ ამავე დროს მისი სისასტიკე მართლმსაჯულებას და მართლმოყვარეობას არ უნდა იყვეს ძალებულ. განსაკუთრებით ამ შემთხვევაში ძლიერ გრძნობიერებას იჩენს ჩვენ მოსახლეობა.

ზ) ყოველგვარი ბრძანება და განკარგულება წინადაწინ ყოველ მხრით გათვალისწინებული და მოსაზრებული უნდა იქნეს, მაგრამ ერთხელ გაცემული ბრძანება რათაც არ უნდა დაჯდეს უნდა კიდეც აღსრულებულ იქნას ხოლმე. უფროსებისაგან უმცროსების სამსახურისა და მოვალეობის საუკეთესოთ აღსრულების მოთხოვნა სიმედგრე და უდრეკობა—ჩემი პირველი და გადაჭრილი მოთხოვნილებაა. საჭიროა უფროსიც მიეჩვიოს ამას და ხელქვეითიც დაეჩვიოს მას. ამას არა თუ მარტო სამხედრო საქმეში, არამედ საზოგადოთ ადამიანის ცხოვრებაშიც უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ჰ) ხელქვეითის არცერთი დანაშაული დაუსჯელათ არ უნდა რჩებოდეს; ამას სამსახურის სარგებლიანობა და სამხედრო აღზრდაც მოითხოვს.

თ) ის სიძულვილი, რომელსაც რევოლიუციის ხანაში აფიცრობისადმი ჯარის კაცი იჩენდა უმეტეს ნაწილათ იმით უნდა აიხსნას, რომ ძველ დროში მათ შორის ბატონყმურ დამოკიდებულების გარდა არავითარი სულიერი კავშირი არ არსებობდა.

ჯარის კაცთან აფიცრის მუდმივი სიახლოვე, გულახდილობა არა გულცივი დამოკიდებულება და მასზე მუდმივი მზრუნველობა მათ შორის აუცილებლათ იმ ერთობას დაამყარებს, რაიცა, ესოდენ საჭიროა ჯარში. უფროსმა თავის ხელქვეითის ყოველი სულიერი მდგომარეობა უნდა იცოდეს. ოჯახურ მდგომარეობაზე, მათ მოსავალსა და სხვა საგნებზე უბრალო გამოკითხვა—ხშირათ ჯარის კაცის გულს მოინადირებს ხოლმე. აფიცერი ჯარის კაცთათვის მზრუნველი მამათ უნდა მოიქცეს.

4) ჯარის კაცთან დასაახლოვებლათ, საჭიროა მას, გასაგებ ენაზე ეგაასო. ამიტომ წინადადება ეძლევა ყველას, ვინც საკმაოთ არ იცის ქართული ენა შეისწავლოს იგი.

პირველ თებერვლიდან, ე. ი. 6 თვის შემდეგ გადაჭრით მოვითხოვ მთელი მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე სწარმოებდეს.

5) ჯარში მტკიცე წესრიგიანობის დამყარება პირველ ხარისხოვანი საკითხია. ჩვენ უკვე გვაქვს პარლამენტის სამხედრო კომისიის მიერ შემუშავებული და ყველასთვის მისაღები დისციპლინარი წესდება. ამ ჟამად, ჩვენ ვერ მოვასწარით დამფუძნებელ კრებაში მისი გატარება, მაგრამ ვფიქრობ, რომ სექტემბრის განმავლობაში ეს შესრულებულ იქნება; ამ დისციპლინარ წესდების პროექტის უსაჭიროესი ადგილების ამონაწერი კი უკვე ბრძანებებში გამოცხადებულია და ჯერ-ჯეროობით მათით ხელმძღვანელობაც საკმაოა.

თუ უფროსები სამსახურის მომთხოვნელი, მედგარი და სასტიკ სამართლიანი იქნებიან—ეს ძლიერ გაადვილებს დისციპლინის წესრიგის განმტკიცებას.

6) თითქმის ყველა უსაჭიროესი წესდებები, „საველე სამსახურის წესდებისა და სროლის საქმეები დარიგების გარდა, „უკვე დაბეჭდილია, ეს უკანასკნელიც მახლობელ დროში დაიბეჭდება და სათანადოთ დაიგზავნება. ყველა წესდება საჩქაროთ და უკანასკნელ ომის გამოცდილების თანახმად უცვლელათ ითარგმნებოდა. ამ წლის განმავლობაში ვისარგებლოთ მით, შემდეგ კი სამწყობრო უფროსთა დასკვნის მიხედვით შესაფერ ცვლილების შეტანით ხელმეორეთ გამოიცემა.

7) ამ ჟამათ ჩვენ ფაქტიურათ უკვე გადავეცით კადრულ სისტემაზე, სამსახურის ვადა, ქვეითა ჯარში წელიწადი და 4 თვეა; ხოლო სპეციალ ჯარში წელიწადი და 8 თვეა. ყველამ კარგა უნდა იცოდეს თუ რა მედგარი და დაუღალავი შრომა და როგორი მომზადებული აფიცრობა და ნაცვლებია საჭირო, რომ ამ მოკლე ხანში მომზადდეს თანამედროვე მეომარი.

აი, რისთვის მეტ ყურადღებას ვაქცევ მუყაით შრომას, ახალ ჯარის კაცთა მასწავლებლების, ნაცვლების და აფიცრების არჩევასა და მომზადებას.

გენერალური შტაბი შეძლებისდაგვარათ, ჩემ მიერ დამტკიცებულ სათანადო დარიგე-

ბებს გამოსცემს, მაგრამ საჭიროა სამწყობრო უფროსებმაც დახმარება გაუწიონ მას და როცა რომელიმე დარიგება—განკარგულება ზევიდან დაიგვიანებს, შესაფერი თაოსნობა გამოიჩინოს, რომ არ დაიკარგოს ძვირფასი დრო.

როგორც ყველამ იცის, თანამედროვე ომებმა ნათლად დაამტკიცეს ცალკე მეომრის მომზადების აუცილებელი საჭიროება: ტეხნიკურათ გაწვრთნასთან ერთად, მეომარი დისციპლინარ წესებით გაწვრთნილი, გამობრძენდილი განვითარებული და თაოსნობას დაჩვეული უნდა იყვეს.

მე მოვითხოვ, რომ ჯარის კაცი მუდამ მაცადინაობაში იყოს გართული; მწყობრივ მაცადინობას თან უნდა სდევდეს უფრო მსუბუქი და კულტურულ-განმანათლებელი მაცადინობა. ამ �-ად თქვენი მუყაითობა და დრო ჯარის რეორგანიზაციაზე დაიხარჯება. აგვისტოს განმავლობაში რეორგანიზაცია აუცილებლათ უნდა დასრულდეს. ამის დამიუხედავათ საჭიროა ერთი წუთიც არ იკარგებოდეს და, როგორც ზემოდაც ნაჩვენებია ჯარის ნაწილების უფროსებისა და მათი თანაშემწეების ხელმძღვანელობით აფიცერთა და ნაცვალთა მაცადინობა განუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს. ამასთანავე საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება ჯარის კაცთა მაცადინობას ჰქონდეს მიპყრობილი, განსაკუთრებით სხვა და სხვა სპეციალ დანიშნულების გუნდებში. გზა და გზა ყურადღება მიექცეს ახალ ჯარის კაცების მასწავლებელთა მომზადებასაც.

ბრიგადის უფროსებსა და მის თანაბარ უფროსებსაც ვსთხოვ: თვითეულ ნაწილში არსებულ მდგომარეობისა და რეორგანიზაციაზე მუშაობის მსვლელობის მიხედვით, უფრო დაწვრილებითი დარიგებები მისცეს და მათი ასლიც გენერალურ შტაბის უფროსის საშუალებით წარმომედგინოს მე.

ახალწვეულ ჯარის კაცთა გამოცხადებამდე დარჩენილი 3 თვე ამ სამუშაოს უნდა მოხმარდეს. ახალ ჯარის კაცთა მაცადინობის პროგრამა და გენერალურ შტაბის მიერ დაწვრილებით შემუშავებული, შემდეგი მაცადინობის ყოველგვარი გეგმა ჩემ მიერ დამტკიცების შემდეგ სათანადოთ დაგზავნილი იქნება.

უფროსთა ყურადღებას ხელმეორეთ ისევ აფიცერთა, ნაცვალთა და ახალ ჯარის კაცთა მასწავლებლების მომზადებას მივაქცევ.

როგორც დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონიდანაც სჩანს, მომავალში ნაცვალთა მომზადება სამხედრო სასწავლებელთან დაარსებულ ნაცვალთა ათასეულს დაეკისრება. ამის დაწვრილებითი ცნობები დამატებით გამოიცემა.

თვითეულ გუნდში ზედმეტ მსახურთა რაოდენობა სამით განისაზღვრება, შემდეგი ჯამაგირით: ზემდეგს—600 მან. და ოცეულის უფროსსაც 500 მან. თვეში.

8) ჩვენს ჯარში ყველაზე საჭირბოროტო საკითხი დეზერტირობის საკითხია. დამფუძნებელ კრებამ უკვე მიიღო შესაფერი დეკრეტი, საჭიროა მხოლოთ ჯარისკაცებზე მათი გადაცემა და განმარტება. მე ვფიქრობ, ყველა დეზერტირებს, ე. ი. 1896, 1897 და 1898 წლებში დაბადებულთ ვადა მიეცეს პირველ სექტემბრამდე. და ვინც ამ დროისთვის უკან არ გამოცხადდება ის დაისაჯოს, როგორც დეკრეტის თანახმათ. თუ საქმეს ესეც არ უშველის, იმ შემთხვევისათვის განზრახვა მაქვს მთელი რესპუბლიკის ტერიტორია რაიონობით სამხედრო ნაწილებზე დავანაწილო და მათ დავაკისრო თავიანთ რაიონებში დეზერტირების მოკრეფა.

არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ დეზერტირობაში დამნაშავეთ თვით სამხედრო ნწილების უფროსებსაც ვთვლი, თუ ეს ასე არ იყოს რით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ზოგ ნაწილებში დეზერტირობა შედარებით ძალიან მცირეა. მე ვფიქრობ, რომ ჯარის კაცთა მოვლა და თვალყურის დევნება ყველგან ერთ დონეზე არა სდგას. ისეთი ცნობებიც მოსულა, რომ ნაწილებიდან ჯარის კაცები უსაქმობისა და მოწყენილობის გამო მიიპარებიან. ნაწილების უფროსები, არა თუ ცდილობენ შეიპყრონ ისინი, არამედ სათანადო ერობებსაც კი არ ატყობინებენ ამაზე. მივაქცევ რა ამ გარემოებას უფროსთა ყურადღებას, მოვითხოვ მთელი ენერგია მოიკრიბონ, რათა აღმოფხვრან ასეთი არანორმალური მოვლენა.

9) როგორც ეს ყოველმა სამხედრო უფროსმაც იცის, საომარ მოქმედების დროს წარმატება ბევრში სამხედრო საიდუმლოთა შენახვაზეა დამოკიდებული სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ, ჩვენ ქართველები, საიდუმლოებს ვერ ვინახავთ როგორც რიგი და წესია. საჭიროა ამას მეტი ყურადღება მიექცეს და ჯარის კაცებსაც მეტი ყურადღება მიეპყრას ამ შემთხვევაში.

10) მტკიცეთ დავდგეთ კანონიერობის თვალსაზრისზე და უმცროსებისგან უფროსებისადმი მიმართვაში დადგენილი წესებით ვიხელმძღვანელოთ ე. ი. მიმართვა ასეთი უნდა იყვეს: ბატონო გენერალო, ბატონო მაიორო და სხვა, უამისოთ ყოველგვარ დემაგოგებს სამოქმედო ნიადაგი უნჩდებათ ხოლმე.

მე ასეთი ცნობებიც მომეპოვება, რომ აფიცრებს ვითომც და შიკრიკებათ ისევაც ჰყავთ, შინამსახური ჯარის კაცები, მოვითხოვ, რომ ბოლო მოეღოს ამას და ამ შემთხვევაშიც მტკიცედ დაცული იქნას დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონები.

11) ერთი მწვავე საკითხთაგანი, რომელიც ჩვენ ჯარს უცხოელების წინაშე უხერხულ მდგომარეობაში აყენებს—ესეთი ერთ მისალმების საკითხია. იმ გვარი მისალმება, როგორც ეს ძველათ იყო უკვე გადავარდნილია, მაგრამ მხედართა ურთიერთ მისალმება ისევ ძალაშია დატოვებული; წესისამებრ უფროსს პირველად უმცროსი ესალმება, მაგრამ ეს ყველგან არ სრულდება. საჭიროა, ჯარის კაცებს განემარტოს, რომ მისალმებას ადგილი ყოველ ქვეყნის ჯარში აქვს და უფრო უდიერ სახითაც ვიდრე ეს ჩვენშია. ეს მისალმება თან და თან აუცილებლათ საკალდებულო უნდა გახდეს.

12) ამ ჟამათ შენიშნულია, რომ ჯარებში სახაზინო ტანაკაზმულობის და განსაკუთრებით საჭურველის მოვლასა და მასზე ზრუნვას არავითარი ყურადღება არ ეექცევა. ყველამ უნდა იცოდეს, თუ რა სათუთი და ნაზი საგანია ჩვენი საჭურველი, ამის და მიუხედავათ მე ისეთი ცნობები მაქვს, რომ ზოგ აფიცერმაც კი არ იცის თოფ-იარაღის წმედა—სუფთაობა. ამ გარემოებას უფროსების განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ და მოვითხოვ, რომ სასტიკი ზომები იქნას მიღებული ასეთს არა სასურველ შემთხვევებში.

სამხედრო საბჭოს წევრ არტილერისტს—არტილერიის ზედამხედველის მოვალეობას, ჯარებსა და საწყობებში ნამზადისისა და საჭურველის მდგომარეობის მეთვალყურეობას დავაკისრებ. დებულება ზედამხედველების შესახებ და საჭურველის მოვლის შესახებ დასტურლამა ამ დღეებში გამოიცემა სამხედრო უწყების მიმართ ბრძანებებში.

საზოგადოდ, ჩემი უპირველესი და გადაჭრილი მოთხოვნილებაა—„ხაზინის თვითეულ კაპეიკსაც მოუფრთხილდეთ“.

დასასრულ მე მოვითხოვ უფროსებისაგან მეტ თაოსნობას ზემოდან მოცემულ დარიგებათა გაფართოებასა და გავრცელებაში, რათა შეძლებისამებრ უკეთესად შეასრულოთ მინდობილი საქმე, იქონიოთ უფროსების წინაშე მეტი გულახდილობა, გულწრფელობა და მოქალაქეობრივი გამბედაობა.

დასასრულ ერთხელ კიდევ საჭიროთ მიმაჩნია ხაზი გაუსვა აფიცრის მნიშვნელობას დამოუკიდებელ რესპუბლიკის განმტკიცებასა და მის საზღვართა დაცვის საქმეში. მე სრული იმედი მაქვს, რომ ჯარის ყველა უფროსი გაიმსჭვალება ამ მოვალეობის შეგნების იმედით და მთელი თავისი ძალღონით შეეცდება ერთგულად ემსახუროს რესპუბლიკას და მის მთავრობას.

ინგლისის შტაბის ცნობა.

სომეხ-თათართა შესახებ.

ინგლისის შტაბის დამატებითი ცნობა ნახიჩევანის ამბების შესახებ. ინგლისელი ოფიცერი, რომელიც ერევნიდან აგვისტოს 6 გამოვიდა გადმოგვცემს, რომ მისი წამოსვლის დღეს სომხებსა და თათრების შორის ბრძოლა შემწყდარი იყო. აგვისტოს 4 დანიშნული თათბირი არ შესდგა, რადგან დავალუდან სომხების ნაწილად წამოსვლის გამო ინგლისელ გუბერნატორს არ შეეძლო შეეწყვიტნა თათართა გამაგრებულ ხაზზე გადმოსვლა.

იმედი ჰქონდათ რომ თათბირი აგვისტოს 6 შესდგებოდა. სომხეთის მარცხენა ფრთა ბეიუკვედში იყო, საველე შტაბი კი ძველებურად ბაშ ნურაშენში. როგორც ეტყობა, მართალია, რომ ჯულფის ხიდი სამხრეთისაკენ სპარსეთში გადასულ სომხებს დაუზიანებიათ და ეხლა მასზე მატარებლების მოძრაობა შეუძლებელია. ამის შესახებ შეკითხვა გაეგზავნა ინგლისის კონსულს თავრიზში.

ტფილისის თვითმართველობაში.

სასურსათო განყოფილების ახალი შტატი.

ქალაქის გამგეობამ მოახდინა შტატების რეორგანიზაცია: დათხოვილია 2 ბუხჰალტერი, სამაგიეროთ მიღებულია ბუხჰალტერის თანშემწეთა შტატი 1 კაცით, ხელ მოანგარიშეთა შტატი 2 კაცითაა გადიდებული.

—

საქონლის ბიუროს დაარსება.

ქალაქის გამგეობის დადგენილებით სასურსათო განყოფილებასთან შეიქმნა საქონლის ბიურო, რომლის გამგედაც ინიშნება ა. ს. შულგინი, თვეში 1100 მან. ჯამაგირით.

—

ხეტყის ქარხნების კავშირის თხოვნა.

ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა ტფილისის ხეტყის ქარხნების პატრონთა კავშირის შუამდგომლობა, რომ გამოეცათ სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც ტფილისში ჩამოსული ხე ტყის მასალა ხსენებულ კავშირის საშუალებით განაწილებულიყო ხეტყის ქარხნების შორის.

—

მოსამსახურეთა მიღების წესი.

ქალაქის მოსამსახურეთა აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ სასურსათო განყოფილების მოსამსახურენი ადგილობრივ კომიტეტის დაუკითხავათ არ მიიღონ.

—

ქალაქის მოსამსახურეთა საავადმყოფო კასა.

ქალაქ. მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა მოკლე ხანში დაარსდეს ქალაქის მოსამსახურეთა საავადმყოფო კასა, რომლის დროებით წესების შესადგენათ და საქმის მოსაწყობად მოწვეულ იქმნეს შ. ელბაქიანი,

—

დახმარება ქართულ წარმოდგენების მმართველ წრეს.

აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა 2,500 მანეთით დახმარება აღმოუჩინოს ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრეს.

—

სტატისტიკოსის მოწვევა.

ქალაქის გამგეობის წევრმა ქალაქის სტატისტიკურ განყოფილებას დაავალა აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ საჭირო ცნობები ამ საქმის და აგრეთვე სტატისტიკურ განყოფილების მიმდინარე მუშაობის გასაძღოლათ ქალაქის გამგეობა იწვევს სტატისტიკოს-ინსტრუქტორს.

—

საბიბლიოთეკო კურსები.

ქალაქის გამგეობა მოკლე ხანში აწყობს საბიბლიოთეკო კურსებს, მცოდნე ბიბლიოთეკის გამგეთა მოსამზადებლათ. კურსების მოსაწყობათ 3,000 მან. გადაიდო. კურსების გავლა სავალდებულოა ქალაქის ყველა გამგეობისთვის.

—

ქალაქის საბჭოს სხდომა.

ორშაბათს, 11 აგვისტოს ქალაქის საბჭოს სხდომა არ შემდგარა, რადგან რეგლამენტის ძალით საჭიროა არა ნაკლებ 30 ხმოსნის დასწრება და აღნიშნულ დღეს კი მხოლოდ 24 ხმოსანი გამოცხადდა. შემდეგი სხდომა დანიშნულია ორშაბათს, 18 აგვისტოს.

—

სანიტარულ ინსპექტორის წახვლა.

ქალაქის საექიმო-სასანიტარო ინსპექტორმა შ. ან. მიქელაძემ სახელმწიფო უნივერსიტეტის თერაპევტიულ კლინიკის გამგედ გადასვლის გამო, თანამდებობას თავი გაანება. ბ-ნი შ მიქელაძე დარჩება მომავალშიც სასანიტარო ექიმათ.

—

ახალ სანიტარული ინსპექტორის არჩევა.

ორშაბათს, 11 აგვისტოს ქალაქის საუმჯობესასანიტარო ინსპექტორათ არჩეულ იქმნა ექიმი მეუნარგია.

სოფლეთი

ხოფლეთის რესპუბლიკის ახალი კაბინეთი

10 აგვისტოს პარლამენტის სხდომას თავმჯდომარეობდა თავმჯდომარის ამხანაგი ს. არარატოვი, რომელმაც თანამდებობაზე უარი განაცხადა. პარლამენტმა უარი მიიღო. დროებით თავმჯდომარეობს პარლამენტის უფროსი წევრი არგუთინსკი-დოლგორუკოვი. მთავრობის თავმჯდომარე ი. ი. ხატისოვი კითხულობს მთავრობის შემადგენლობის სიას: შემადგენლობა შემდეგია: პრემიერ მინისტრი და გარეშე საქმეთა მინისტრი—ალექსანდრე ხატისოვი; შინაგან საქმეთა და იუსტიციის—აბრამ გიულხანდიანი; სასურსათო საქმის და ფინანსთა—სარქის არარატიანი; მეფარველობისა და შრომის მინისტრი ავეტიკ საგაკიანი; სახალხო განათლების მინისტრი—ნიკო აგბალიანი; სამხედრო მინისტრი—გენერალი არარატოვი.

შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე კითხულობს ახალ მთავრობის დეკლარაციას. ოპოზიციის თხოვნის გამო დეკლარაციის განხილვა და მსჯელობა გადაიდო.

ახალი მთავრობის შემადგენლობას ამტკიცებს 37 ხმა 2-ის წინააღმდეგ.

კოოპერატიული ცხოვრება.

კოოპერატივის წლიური კრება.

3 აგვისტოს ს. გურჯაანში გაიხსნა კახელ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოების „კახეთი“-ს წევრთა საგანგებო კრება. კრებამ შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა: 1) დაევალოს საბჭოს გამგეობასთან ერთათ ტფილისში სარდაფის შეძენის საჭიროების შესახებ საკითხის გამორკვევა და საჭიროთ სცნობს. 2) მიენდოს საბჭოსა და გამგეობას შეიძინოს კახეთში მამული სარდაფის ასაშენებლათ, სადაც ისინი დაინახავენ საუმჯობესოთ.

3) მიენდოს საბჭოსა და გამგეობას მოიწვიოს საქართველოს მევენახეთა პირველი კონგრესი და გასწიოს ამისათვის საჭირო ხარჯები.

4) მიეცეს გამგეობას უფლება მიიღოს წევრთაგან შესანახათ ფული. საკითხი წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ გადაიდო.

5) ნება მიეცეს საბჭოსა და გამგეობას 200.000 მანეთის ფარგლებში გასწიონ მოულოდნელი ხარჯები.

6) საზოგადოების ხარჯით გაგზავნილ იქმნეს საზღვარ გარეთ ორი ახალგაზრდა შესაფერი მომზადებით მევენახეობისა და მეღვინეობის მეცნიერულათ შესასწავლათ.

მილიციაში

სასტუმრო „ნოე-“ში ერთ და იმავე ღამეს 21—22 ივლისს ოთხ ნომერში: 99,51,57 და 53 გაქურდეს მგზავრები. ყველა ამ ნომრების კარები შიგნიდან იყო დაკეტილი და სხვა შესასვლელ-გამოსასვლელი ამ ოთახებს არ ჰქონდა, გარდა ფანჯრებისა, რომლებიც ძალიან მაღლა არიან. ასეთ პირობებში მგზავრების ჯიბიდან მოიპარეს: № 99—12 ათასი მან. № 51—2900 მ., № 57—5500 მ. და № 53—19500 მ. სულ—39900 მან.

სასტუმრო „გრანდ ოტელ-“ში ასეთივე პირობებში მოხდა ქურდობა 1 აგვისტოს № 22—30 ათ. მან., 3 აგვ. № 25—4915 მ და 6 აგვ —№ 6— მირ მამედი მირ სადიკოვს მოჰპარეს 8500 მან. სულ 43415 მან.

სისხ. სამ. მილიციამ 6 აგვისტოს, გაჩხრეკაში სასტ. „გრად ოტელ-“ში № 3 მცხოვრები ანანია გოლცოვი, უკრაინელი, რომელსაც აღმოაჩნდა მირ სადიკოვის 8500 მ. ფული პატრონს ჩააბარეს და გოლცოვი დაატუსაღეს. აღმოჩნდა რომ გოლცოვი შეპარული

მირ სადიკოვის ოთახში ფანჯრიდან.

29 ივლისს ალექსანდრე გონგაძის ბინიდან, პირველი პარალელური ქ., № 2, მოიპარეს ხალიჩები და ტანისამოსი, ღირებული დაახლოვებით 25 ათას მანეთად.

9 აგვისტოს სიხლის სამ. მილიციამ აღმოაჩინა, როგორც მოპარული ნივთები, აგრეთვე ქურდიც, რომელიც აღმოჩნდა 1911 წლიდან ქურდობაში გენთქმული ვასილ ნერსესის-ძე ტევოსოვი. ნივთები პატრონს ჩააბარეს და ტევოსოვი დაატუსაღეს.

—

მე-8 უბნის კომისარმა ს. ბოლქვაძემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა მილიციის უფროსს თავის მოქმედების შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს ხსენებულ კომისარს თავის მილიციელების დახმარებით მრავალი ბოროტმოქმედება აღმოუჩენია უკანასკნელი თვეების განმავლობაში, დაუჭერია ბევრი ბოროტ-მოქმედი და პასუხისგებაში მიუცია.

ბ. ბოლქვაძე თავის მოხსენებაში მადლობით იხსენიებს თავის მამაცს და შეგნებულ თანაშრომელთ.

სხვა და სხვა.

→ ნავთსადენის სარევიზიოთ ამიერ. კავკ. რკ. გზის უფროსის განკარგულებით შესდგა რევიზია.

→ 10 ამა აგვისტოდან ბენარის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გადატანილ იქნა სოფ. უდეში ახალციხის მაზრა, რომელიც შორავს ბენარს ორ ვერს ნახევრით.

ფოსტის გაცვლა გამოცვლა მოხდება ბენარის ფოსტის სადგურზე ბორჯომ-ახალციხის ფოსტის გზაზე.

→ 8 ამა აგვისტოდან გაიხსნა დროებითი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სოფ. წალვერში (გორის მაზრა) თანა-მოსახელე წალვერის რკინის გზის სადგურის ახლოს ბორჯომ-ბაკურიანის შტო.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ქ. ტფილისში მცხოვრებ ალექსანდრე დავითის ძე ყიფიანმა დაჰკარგა უვადო პასპორტი № 1929 მიცემული 1899 წლის დეკემბრის 21-ს თელავის მარშლის მიერ. ამ პასპორტის მპოვნელი ვალდებულია წარუდგინოს იგი საოპეკუნო სამმართველოს.

1086 3—2

ნიკოლოზ დიანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის I უმაღლეს სასწავლებლის სამი კლასის გათავების მოწმობა, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1107 3—1

ნიკოლოზ რადზიევსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული რუსულ ეროვ. საბჭოდან 1918 წ. სექტემბერში, მოწმობა გაუქმებულად ითვლება.

1092 3—2

ნესტორ გვიანაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული კავკასიის ქართულ ეროვნულ საბჭოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—3

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის ზაქარია შიოს ძის შინდელაშვილის, იგივე ოქრუაშვილის მემკვიდრეებს თავის უფლების წარმოსადგენად ქონებაზედ იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია 1241 მ. ნაწ X სამოქ. საქ. წარმ. წესდ. 1070 1—1

ვიწია-სალ ხინოს უბნის მომრიგებელი მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულთ მცხოვრებთ ს. თამაკონს, სენაკის მიზრისა, უჩანა და ეგნატე იესეს ძეთა სართანიებთა მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებულთ სართანიებთა ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია 1241 მუხლში სამოქ. კანონთა კრებულისა, მეათე ტომი, პირველი ნაწილი.

1424 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის დადგენილებით, ეძებენ დუშეთის მაზრის, სოფ. ბაშის მცხ. გიორგი ფიდოს-ძე ახალაშვილს, რომელსაც ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1629 და 1632 მუხ. სასჯ. დებ. დაკარგულის ნიშნებია: 22 წლისაა, შუა ტანისაა, ჭროღა თვალები აქვს, ქერა თმიანია. ყველა ვინც, იცის გიორგი ახალაშვილის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი, როგორ ლთა ფულებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 1391 1—1

მეჯვრისხევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამოქ. სას. საქმ. წარმ. წესდებისა, იწვევს მემკვიდრეებს 24 აპრილს 1919 წელს გარდაცვალებულ მცხოვრ. ს. პატარა-მეჯვრისხევში, გორის მაზრის ვლადიმერ გიორგის ძის ჩიკვაიძისას, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულ ჩიკვაიძის ქონებაზე კან. კრებ. მე X ტ. 1 ნაწ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1365 1—1

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის დადგენილებით 27 ივლისიდან აეწ. ჩარიცხულია კერძო ვექილთა რიცხვში ზუგდიდის მცხოვრები ბესარიონი პიხვიას ძე ჯიქია.

1371 1—1

იზრაილ ეუშვაკის ძე გორელიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 1066, მოწმობა ტფილისის სამხედრო უფროსიდან მოცემული შესახებ სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლებისა № 2989, 25 სექტემბერს 1918 წელს და ბათუმში თავისუფლად გასვლის მოწმობა, აღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ზემო მოყვანილი მოწმობები ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1117 1—1

ალექსანდრე დავითის ძე ანანოვი აცხადებს რომ მან დაკარგა პირადობის მოწმობა № 799, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1119 1—1

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის გუბერნიისა, იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრები ს. რორტის, სენაკის საზოგადოების, სენაკის მაზრის, ქუთაისის გუბერნიის სამსონ მაკუას ძე ბეალავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცვადონ თავიანთი უფლება ბეალავას ქონებაზე, სამოქალაქო კანონის, კრებულის მეათე ტომი პირველი ნაწილი 1241 მუხლის აღნიშნულ ვადაში.

1370 1—1

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი, რომლის ძალით იოსებ კაკიტელაშვილს ნასყიდი ქონდა ნ. თუმანოვიდან მამული ივნისში, 1917 წ. სიგელი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1120 3—1

ზაქარია ქანანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალაქის თვითმართველობიდან მიღებული ხელზე ვაჭრობის ნებართვის მოწმობა, მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1084 3—2

ლუბა ფედოტის ასული პოლიანოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 1014 მიღებული 1917 წ. ოქტომბრის 11-ს.

1097 3—2

ადოლფ იოგანის ძე ერნშტეინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 213, მიღებული 1910 წ. ნოემბრის 2-ს ლიუბოვსკის, კურლ. გუბ. მამასახლისიდან. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება 1074 3—2

ქ. ტფილისის 15 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის ანნა გლახას ასული პამპალაშვილის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ 1241 მუხლ. X ტ. 1 გ. სამოქ. კანონ. დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ზემოხსენებულ პამპალაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ.

1389 1—1

ბაგრატ ივანეს ძე სარიბეკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი „ნაკლადნოი“ ტფილისის საბაჟოს მიერ დამოწმებული, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან 40 ცარიელი ღვინის ბოჭკის გატანის შესახებ.

1096 3—2

აკაკი ნესტორის ძე ოდიშარია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი მარტვილის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის გათავებისა № 170, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. ზემოაღნიშნული ოდიშარიამ რომ ნამდვილად დაჰკარგა მარტვილის უმაღლეს პირველ დაწყებითი, სასწავლებლის გათავების ატესტატი, ამას ვადასტურებ ხელის მოწერით ჩემითა კლასის დამრიგებელი სოლომონ ქუთათელაძე. სოლომონ ქუთათელაძის ხელის მოწერის სინამდვილეს ვამოწმებ ინსპექტორი მარტვილის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლისა. მ. ლაბარტყავა. 1099 3—2

ილია პავლეს ძე სალუქაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 7176, მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისაგან 1918 წ. იანვრის 5, მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1112 3—2

მიხეილ სიმონის ძე და ნატალია ვილგელმის ასული რომანოვები აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს საზღვარ გარეთის პასპორტი მიღებული 1919 წ. მარტის 20 ტფილისში მყოფ ლიტოველების დიპლომატიურ მისიიდან № 134. (პასპორტი შემოწმებული იყო სურათით(პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1113 3—2

დაიკარგა საბაჟოს კვიტანცია მიხრან ანანოვის სახელზე 30 ტომრის ფქვილის 150 ფუთი 26 გირ., რომელიც მოტანილი იყო ბათუმიდან ტფილისში 7 მკათათვის ამ წელს და გამოტანილი ტფილისის საბაჟოს საწყობებიდან 11 მკათათვის კანცელარიის გადასახადის აღებით 3 მ. 02 კ. კვიტანცია გაუქმებულია. 1093 3—2

სოკრატ ივანეს ძე ჭელიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 3364. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1101 3—2

გიორგი ივანეს ძე ნაუმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, ნამსახურობის ფურცელი, მიღებული ტფილ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქიდან და უკრაინის კონსულის კანცელარიიდან მიღებული მოწმობა, აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1106 3—2

ვასილი გიორგის-ძე ბარისოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 45, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან 11 აპრილს 1919 წ. რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1110 3—1

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მცხოვრებ ივანე ბალენკომ დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიცემული ტფილისის მაზრის გამგეობიდან 10 ივნისს 1911 წელს № 27, ამ პასპორტის მპოვნელი ვალდებულია წარადგინოს იგი მილიციის სამართველოში. 1077 3—3

ალექსანდრე იოსების ძე გველესიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა მიღებული ტფილისის მე-2-ე გიმნაზიის კანცელარიიდან 1917 წელს № 595 მოწმობა გაუქმელათ ჩაითვალოს.

1102 3—2

საჩხერის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულთ მცხოვრებთ სოფელსა რაგვეთში, შორაპნის მაზრისა, მიხეილ გიორგის ძის და ბარბალე გიორგის ასულის კურცხალიებისას მათის დანარჩენ, სოფელს არგვეთში, შორაპნის მაზრისა, უძრავ-მოძრავ საცხოვრებელზე, რათა მათ უფლება განაცხადონ 1241 მუხ. სამოქ. კან. ტ. X ნაწ. 1 აღნიშნულ ვადაში.

1373 1—1

ფოთის საბაჟო ამით აცხადებს, რომ 1919 წ. 24 აგვისტოს კვირას და შემდეგ დღეებში, თანახმად 565 და 577 მუხ. ძალით საბაჟოს კანონებისა, დანიშნულია საჯარო ~~ვაჭრობა~~, რომლითაც გაიყიდება სხვა და სხვა კონტრაბანდული საქონელი, ~~ხანელობრ~~ ნახევი, წინდები, კონსერვები, ადგილობრივი შალის ნაქსოვები, პაპიროზის ქაღალდი, წუმწუმა, ქალის წინდები, შაქარი, ჩაი და სხვა.

1358 1—1

დავკარგე პორტმანი, რომელშიაც არის ფულათ ას ოცდა ორი მანეთი და ჯვარისკაცობის სამსახურის მოწმობა, ჯვარის წარდგენის მოწმობა მეოთხე ხარისხისა № 2307.

მპოვნელს ვსთხოვთ ფული თქვენ სასარგებლოთ დარჩეს და მოწმობები დაგვიბრუნოთ. გრიგორი ცანავას სახელზე ეისალოვსკი № 6, 9 კომისარიატში. 1091 3—2

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად მინა მიხეილის ძე ბაკურაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი, მიცემული ზნაკვის საზოგადოების კომისრიდან (რაჭის მაზრა), რომელსაც ვადა გადიოდა 27 სექტემბერს 1919 წელს, სთხოვს მნახველებს აღნიშნული პასპორტი წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში.

1417 3—1

პალადი ალექსანდრეს ძე დარახველიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების (ავადმყოფობის გამო) მოწმობა, მიღებული 1918 წელ. თებერვლის 16 ტფილისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1103 3—2

ამით ვაცხადებ, რომ მიცემული ჩემდამი რწმუნებულობის ქალაქი თეოფილე იოსების ძეს კობეშავიძე, დამტკიცებული ნოტარიუს სტრახოვთან 24 ივნისს ა. წ. № 4611, მე ვსპობ ამა პირველ აგვისტოდან. ალექსანდრე პახტურავი. 1095 3—2

სიმონ მაისრაფეშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1088 3—2

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად იოსებ ვლადიმერის ძე სტარჩაკის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი მიცემული ჩუდნოვის მეშჩანების სამმართველოდგან 15 აგვისტოს 1918 წელს სთხოვს მნახველებს აღნიშნული პასპორტისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში.

1416 3—2

დავკარგე ქუთაისის რეალურ სასწავლებლის კურსის დამთავრების მოწმობა № 714—715. მპოვნელს ვთხოვ ჩასთვალოს უვარგისად. სტუდენტი კიევის კომერციული ინსტიტუტისა ივანე ფარნაოზის ძე ვეფხვაძე.

1100 3—2

შორაპნის მაზრის მცხოვრებმა ქალ. ყვირილაში დავით კურცხალიამ დაკარგა უვადო პასპორტი, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 965 3—2

ივლისის პირველ რიცხვებში ქ. ფოთში დავკარგე მოწმობა ყვირილის მუშათა საბჭოსაგან მოცემული. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს ყვირილის მუშათა საბჭოს ბინაზე. ყვირილის მუშათა საბჭოს წევრი გიორგი კვანტრიშვილი. 1104 3—2

იოსებ ნიკოლოზის ძე ბროძელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის პოლიტეხნიკუმის კანცელარიიდან მიღებული პირადობის მოწმობა რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1108 3—2

სოხუმის ქალაქის თვითმართველობა

იწვევს ორ მომრიგებელ მოსამართლეს, თვიური ჯამაგირი 2000 მანეთი. არჩევნები მოხდება ერთი კვირის შემდეგ. სასურველია ქართული ენის მცოდნენი. 1427 3—1